ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ჰ-19/01173122355-17

"15" 11 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ისანი, წინანდლის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.17.13.001.328) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საგანმანათლებლო ცენტრის სასწავლო კამპუსი - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3544868 18.09.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ისანი, წინანდლის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.17.13.001.328) მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია ღიობების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის ფერი. ვიტრაჟებთან დამატებულია კომპოზიტური მასალა. შეცვლილია დეკორატიული ლესვის ხაზები. „I-G" მონაკვეთში გაუქმებულია კარები და მოწყობილია ლითონის მოაჯირები.

-3.15 ნიშნულზე „K-I" და „J-N" მონაკვეთებში დამატებულია ღიობები. „S-R" მონაკვეთში „9-9" ღერძზე შეცვლილია კედლის ფორმა.

±0.00 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში კიბის საფეხურებს მონაცვლებული აქვს ადგილი. „3-2" მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების გაბარიტი.

+18.60 ნიშნულზე გაზრდილია კოლონების გაბარიტი.

+22.05 ნიშნულზე „5-6" მონაკვეთში გადახურვის ფილაში გაუქმებულია მინის იატაკი და მოწყობილია მოაჯირები.

„1-13" ფასადზე შეცვლილია მოაჯირის ნახატი.

„13-1" ფასადზე კონსოლების ქვეშ დამატებულია რიგელები.

„A-S" ფასადზე ლითონის მოაჯირებთან დამატებულია ცხაურები. „K-K" ღერძთან +35.85 ნიშნულზე გაზრდილია ღიობების გაბარიტი.

„S-A" ფასადზე შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი. გაუქმებულია მბრუნავი კარი. +22.50 ნიშნულზე „K-G" მონაკვეთში ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი. კიბის უჯრედში შეცვლილია ცხაურის ნახატი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ისანი, წინანდლის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.17.13.001.328) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საგანმანათლებლო ცენტრის სასწავლო კამპუსი - IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01173122355-17 08.11.2017წ. №19/0117313848-17 09.11.2017წ. და №19/01173122505-17 08.11.2017წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე